სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ძველი ენები და ცივილიზაციები / Ancient Languages and Civilizations**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **სიძველეთმცოდნეობის მაგისტრი/ Master of Anciant studies** სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **კვლევის მაგისტრი სიძველეთმცოდნეობაში, Master of Research in Anciant studies**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 15 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 45 ECTS კრედიტი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება. სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 5 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 25 ECTS კრედიტი • სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფ. ლევან გორდეზიანი პროფ. ირინე ტატიშვილი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: • ბაკალავრის აკადემიური ხარისხი • ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; • უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით

	(სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით); • სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარება; **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ **სიძველეთმცოდნეობის** მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის მიზანი	სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს, ფართო არჩევითობისა და ფაქტობრივად თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზების მეშვეობით, მოამზადოს ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ცივილიზაციების კომპლექსური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ძველი სამყაროს ინტერდისციპლინარულ თუ მულტიდისციპლინარულ (ისტორიულ, კულტუროლოგიურ, ქვეყანათმცოდნეობით, ფილოლოგიურ) გააზრებას, სწავლისა და მუშაობის გაგრძელებას როგორც ვიწრო სპეციალობით – სიძველეთმცოდნეობის რომელიმე ქვედარგში, ასევე ისეთ სფეროში, სადაც ფართო, ზოგადჰუმანიტარული თვალსაწიერია საჭირო. მიზნის მისაღწევად პროგრამა უზრუნველყოფს: ა. ძველი ცივილიზაციების კვლევის ძირითადი ინსტრუმენტის – „მკვდარი ენების“ (არჩევით: აქადური, შუმერული, ხათური, ხეთური, ურარტული, ძველი ბერძნული, ლათინური) შესწავლას (ან არჩეულ ენაში ცოდნის გაღრმავებას, თუ მაგისტრანტს ეს ენა შესაბამისი ძირითადი ან დამატებითი საბაკალავრო პროგრამის, ან არჩევითი კურსების ფარგლებში სწავლების წინა საფეხურზე უკვე შესწავლილი აქვს); ბ. ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ცივილიზაციების ისტორიის, რეგიონის ისტორიის საკვანძო მომენტებისა თუ პრობლემების შესწავლას. სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები აღნიშნულ რეგიონებთან, ამ სამყაროს როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის ფორმირების პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამის მეორე საფეხურის მიზანი	სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს, ფართო არჩევითობისა და ფაქტობრივად თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზების მეშვეობით, მოამზადოს ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ცივილიზაციების კომპლექსური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ: 1. ისტორიულ, კულტუროლოგიურ, ქვეყანათმცოდნეობით, ფილოლოგიურ კვლევას თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენებით, სწავლისა და მუშაობის გაგრძელებას როგორც ვიწრო სპეციალობით – სიძველეთმცოდნეობის რომელიმე ქვედარგში, ასევე ისეთ სფეროში, სადაც ფართო, ზოგადჰუმანიტარული თვალსაწიერია საჭირო; 2. კვლევებზე დაფუძნებული რეკომენდაციებით, პოზიტიური გავლენის მოხდენას სიძველეთმცოდნეობის ინტერდისციპლინარული სფეროს, ან მისი რომელიმე დარგის განვითარებაზე; 3. უახლესი ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანას და ცოდნის გაცვლა-გავრცელებას აკადემიურ და არა-აკადემიურ საზოგადოებაში; მიზნის მისაღწევად პროგრამა უზრუნველყოფს: ა. ძველი ცივილიზაციების კვლევის ძირითადი ინსტრუმენტის – „მკვდარი ენების“ (არჩევით: აქადური, შუმერული, ხათური, ხეთური, ურარტული, ძველი ბერძნული, ლათინური) შესწავლას (ან არჩეულ ენაში ცოდნის გაღრმავებას, თუ მაგისტრანტს ეს ენა სწავლების წინა საფეხურზე უკვე შესწავლილი აქვს); ბ. ამ ენებზე შედგენილი სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის ტექსტების ნიმუშების კომპლექსურ შესწავლას; გ. ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ძველი ცივილიზაციების ისტორიის, რეგიონის ისტორიის საკვანძო მომენტებისა თუ პრობლემების, მათი კვლევის მეთოდოლოგიის შესწავლას.
სწავლის შედეგები	პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• **ავლენს ძველი სამყაროს** ისტორიის, კულტურის, ძველი ადამიანის მსოფლაღქმის სიღრმისეულ ცოდნას, ახდენს შესაბამისი ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციასა და ანალიზს, **გამოკვეთს** მათ გავლენას თანამედროვეობაზე სხვადასხვა კონტექსტში სფეროს ტრადიციული მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით;

	• **ფლობს** სულ ცოტა ერთ „მკვდარ ენას“ იმ დონეზე, რომ დამოუკიდებლად შეეძლოს გაეცნოს ამ ენაზე შედგენილ ტექსტებს; • **ახასიათებს** და **კრიტიკულად აფასებს** სიძველეთმცოდნეობის სფეროში არსებული მულტი და ინტერდისციპლინარული სამეცნიერო მიდგომებისა და თეორიების ჩამოყალიბება/ განვითარების ძირითად ეტაპებს, თავისებურებასა და დინამიკას; • **აცნობიერებს** ძველი სამყაროს ისტორიის, კულტურის, რელიგიის არაერთგვაროვანი გადმოცემის მიდგომებს, ისტორიის ფალსიფიკაციისა და იდეოლოგიური გავლენის ფაქტებს, სხვადასხვა ტიპის წყაროს მიმართ განსაკუთრებული მიდგომის აუცილებლობას და მათთან მუშაობის მრავალფეროვან მეთოდოლოგიას.
ბ) უნარები	• **დამოუკიდებლად მოიძიებს** სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში მოცემულ ინფორმაციას, **ახდენს** მათ **სისტემატიზაციას** და აყალიბებს საკუთარ დასკვნებს; • **წარმოადგენს** საკუთარ დასკვნებსა და არგუმენტებს წერილობითი და ზეპირი ფორმით, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე; • პროფესიული საქმიანობის დროს **ახდენს** მშობლიურ და უცხოურ ენებზე **კომუნიკაციას** საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• ძველი სამყაროს სენსიტიური და წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვისას **ეყრდნობა** პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს; • **ახდენს ადაპტირებას** მულტიდისციპლინურ სასწავლო თუ სამუშაო გარემოში, **ავითარებს** საკუთარ შესაძლებლობებს, **იღებს** დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას. • **წვლილი შეაქვს პროფესიული პრაქტიკის განვითარებაში** • დამოუკიდებლად წარმართავს თავის სასწავლო პროცესს.
სწავლის შედეგები	პროგრამის მეორე ნაწილის კურსდამთავრებული
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• **ფლობს** ძველი ცივილიზაციების კვლევის ძირითად ინსტრუმენტს – სულ ცოტა ერთ „მკვდარ ენას“ იმ დონეზე, რომ დამოუკიდებლად შეეძლოს სამეცნიერო მუშაობა ამ ენაზე შედგენილ ტექსტებთან; • **აცნობიერებს** სხვადასხვა ტიპის წყაროს მიმართ განსაკუთრებული მიდგომის აუცილებლობას და მათთან მუშაობის მრავალფეროვან მეთოდოლოგიას. • **ავლენს ძველი სამყაროს** ისტორიის, კულტურის, ძველი ადამიანის მსოფლაღქმის სიღრმისეულ ცოდნას, ახდენს

	შესაბამისი ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციასა და ანალიზს, **გამოკვეთს** მათ გავლენას თანამედროვეობაზე სხვადასხვა კონტექსტში სფეროს ტრადიციული მიდგომებსა და უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით; • **ახასიათებს** და **კრიტიკულად აფასებს** სიძველეთმცოდნეობის სფეროში არსებული მულტი და ინტერდისციპლინარული სამეცნიერო მიდგომებისა და თეორიების ჩამოყალიბება/ განვითარების ძირითად ეტაპებს, თავისებურებასა და დინამიკას; • **აცნობიერებს** ძველი სამყაროს ისტორიის, კულტურის, რელიგიის არაერთგვაროვანი გადმოცემის მიდგომებს, ისტორიის ფალსიფიკაციისა და იდეოლოგიური გავლენის ფაქტებს.
ბ) უნარები	• საარქივო/საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენებით **დამოუკიდებლად მოიძიებს** სხვადასხვა ისტორიულ (მათ შორის, ნაკლებადშესწავლილ/ ახლადაღმოჩენილ) წყაროებში მოცემულ ინფორმაციას, **ახდენს** მათ **სისტემატიზაციას** და აყალიბებს საკუთარ დასკვნებს; • **გეგმავს** და **ახორციელებს** კვლევას დარგის შესაბამისი მეთოდებისა და დადგენილი აკადემიური სტანდარტების გამოყენებით; • **წარმოადგენს** კვლევის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით როგორც პროფესიული, ისე ფართო საზოგადოების წინაშე; • პროფესიული საქმიანობის დროს **ახდენს** მშობლიურ და უცხოურ ენებზე **კომუნიკაციას** საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• ძველი სამყაროს სენსიტიური და წინააღმდეგობრივი საკითხების განხილვისას **ეყრდნობა** პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს; • გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, **ახდენს ადაპტირებას** მულტიდისციპლინურ სასწავლო თუ სამუშაო გარემოში, **ავითარებს** საკუთარ შესაძლებლობებს, **იღებს** დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას. • სფეროსათვის აქტუალური ინფორმაციის სინთეზირებითა და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით **წერს** სამეცნიერო ნაშრომს და **შეაქვს წვლილი** დარგში არსებული ცოდნის განვითარებაში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ზეპირსიტყვიერი/ ვერბალური, ახსნა-განმარტებითი და

	დემონსტრირების მეთოდები, ლექცია-სემინარები, დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ელექტრონული სწავლება. სემინარები ეთმობა კითხვა-პასუხებსა და დისკუსიას ლექციებზე განხილულ თემებზე, წერილობით სავარჯიშოებს (ტექსტის თარგმანი, გრამატიკული ანალიზი) და საშინაო დავალებების ანალიზს. შუალედური და ფინალური შეფასება, როგორც განვლილი მასალის ცოდნის შემოწმების ფორმა. დამატებითი საკონსულტაციო მუშაობა ზეპირი მეთოდით თეორიული მასალისა და პარაქტიკული დავალებების გარჩევით.
შეფასების სისტემა	**სასწავლო კომპონენტის შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:** **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას –** (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას –** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა.

	დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ **21** ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

დასაქმების სფეროები	სიძველეთმცოდნეობის მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საჯარო სამსახურში, კერძო სექტორში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ. სიძველეთმცოდნეობის მკვლევარ მაგისტრს უფლება ეძლევა, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	- საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; - სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორები და ასოცირებული პროფესორები), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მკვლევრები: თსუ პროფესორი ლევან გორდეზიანი თსუ პროფესორი ირინე ტატიშვილი თსუ ასოცირებული პროფესორი მარიკა მშვილდაძე თსუ ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია თსუ ასოცირებული პროფესორი ეკატერინე კობახიძე თსუ ასოცირებული პროფესორი ნინო სამსონია თსუ მოწვეული ლექტორი, ისტ. მეცნ. დოქტ. გრანი ქავთარია თსუ მოწვეული ლექტორი, ფილ. დოქტ. გიორგი უგულავა თსუ მოწვეული ლექტორი, ფილ. დოქტ. ლელა ჩოთალიშვილი თსუ მოწვეული ლექტორი ლევან კოჭლამაზაშვილი თსუ მოწვეული ლექტორი ოთარ გაბუნია თსუ ენების ცენტრის მასწავლებელი ქეთევან აბესაძე ყველა სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის თუ სახელმძღვანელოს ავტორი. პროგრამით გათვალისწინებული კურსების სწავლება ხორციელდება თსუ I კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), V კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №36) და VIII კორპუსში (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13). აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მათ შორის, პროექტორებითა და მიკროფონებით. რაც შეეხება ძველი ენებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-

	ტექნიკურ ბაზას, ის მდებარეობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი მსოფლიო ისტორიის კათედრაზე (თსუ მერვე კორპუსი, აუდ. 117). აღნიშნული კათედრა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას. ძველი ენებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს მ. ალექსიძის ქუჩის მე-2 შესახვევი N3-ში; საბიბლიოთეკო დარბაზები და წიგნსაცავები: შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, თსუ I კორპუსი; გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი, რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N13-ში, თსუ VIII კორპუსი; აღმოსავლეთმცოდნეობის სამკითხველო დარბაზი, რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N36-ში, თსუ V კორპუსი https://www.tsu.ge/ka/library). უნივერსიტეტს გამოწერილი აქვს მრავალი ელექტრონული რესურსი, რომლებითაც სარგებლობა შესაძლებელია როგორც თსუ-ს კომპიუტერებიდან, ისე თსუ-ს გარედან, საუნივერსიტეტო ელფოსტის გამოყენებით. თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 ადამიანური და მატერიალური რესურსიდან გამომდინარე, პროგრამაზე შესაძლებელია 5-10 სტუდენტის მიღება.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმ-ანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები აღნიშნულ რეგიონებთან, ამ სამყაროს როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის ფორმირების პროცესში. პროგრამა 2006 წელს მისი ამოქმედების დღიდანვე საკმაოდ აქტიურადაა ჩაბმული საერთაშორისო თანამშრომლობაში. პროგრამის პირველი ვერსია შეჯერდა უცხოელ კოლეგებთან, რეგულარულად იმართება სეზონური სკოლები, მაგისტრანტებს აქვთ უცხოეთში სტაჟირების შესაძლებლობა.